



ადმონსავლეთის კარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული კლავტორმა

მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 23 მარტი, 2012 წელი

დრო: 16:00 – 18:00

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლალი დევიძე – კავკასიური სახლი – (ჯგუფის თანაკოორდინატორი)
2. მარინე სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი "ლეა" (ჯგუფის თანაკოორდინატორი)
3. მარინე მიზანდარი – ევროპის სახლი
4. ნანული რამიშვილი - პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
5. თიკო ჯანჯღავა - ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის საქართველოს წარმომადგენლობა
6. თეიმურაზ ზაქრაძე – რეპატრიანტთა კავშირი
7. ნათია აბრამია -ჯანმრთელი სამყარო
8. ლაშა ჯუღელი – საქართველოს გაეროს ასოციაცია
9. ნუკრი ყველაშვილი – ახალგაზრდული ალტერნატივა
10. ინეზა გაგნიძე – ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის

სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, რომელიც ძირითადად გაცნობითი ხასიათის იყო, გახსნეს და უძღვებოდნენ ჯგუფის კოორდინატორები მარინე სოლომონიშვილი და ლალი დევიძე. ჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად იმსჯელეს მეოთხე ჯგუფის მუშაობის გააქტიურების აუცილებლობაზე, ასევე Google ჯგუფის კომუნიკაციის გაუმჯობესების ტექნიკურ საკითხებზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ Google ჯგუფის პარალელურად კომინიკაცია იყოს სატელეფონო და პირადი ელ-ფოსტითაც, რადგან შეხვედრაზე დამსწრეთა ნაკლებობა ამ ტექნიკური საკითხითა იყო განპირობებული

წევრები შეთანხმდნენ, რომ სასურველია ჯგუფის მუშაობის არეალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს და სავიზო ურთიერთობების გარდა, აქცენტი გაკეთდეს ასევე კულტურულ საკითხებზე, განათლებაზე, კონფლიქტების მოგვარებაზე, გენდერზე, სახალხო დიპლომატიაზე, ახალგაზრდულ პოლიტიკაზე, ეთნიკურ უმცირესობებსა და რეგიონალურ ურთიერთობებზე. გამოიკვეთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე ფოკუსირების აუცილებლობაც. ამ მიმართულებით საჭირო იქნება მონიტორინგის განხორციელება, ზემოთ აღნიშნულ სფეროებში ჩატარებული კვლევების შესწავლა და არსებული დოკუმენტაციის მოძიება ჯგუფისთვის.

აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე შეხვედრების თუ კონფერენციების თაობაზე საინფორმაციო უზრუნველყოფის გაუმჯობესება და პროექტების გაცნობა. მაგალითად, ჯგუფის წევრებმა ახლახანს შემთხვევით გაიგეს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება რიგი პროექტები, მაგრამ სამწუხაროდ ჩართულობა ნულოვანია, კომუნიკაცია კი - სუსტი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ასევე გამოიკვეთა ჯგუფის შეხვედრის დროს, ეხება ახალგაზრდული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მეოთხე სამუშაო ჯგუფის მონაწილეების საკითხს. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ უკვე შემუშავებულია ახალგაზრდული პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსია. ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ ჯგუფის ჩართვაზე ამ დოკუმენტის საბოლოო ვერსიის შემუშავების პროცესში. გადაწყდა, რომ აღნიშნული დოკუმენტი დაიგზავნება მეოთხე სამუშაო ჯგუფის საერთო ელ-ფოსტაზე, ორგანიზაციები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს, შენიშვნებსა და წინადადებს, რომელთა განხილვა მოხდება მომდევნო სამუშაო შეხვედრაზე, მომზადდება საერთო წინადადება ერთიანი დოკუმენტის სახით, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მომზადებული წინადადებების გაცნობის მიზნით სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრის დაგეგმვა.

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელზედაც ყურადღება გამახვილდა შეხვედრის მიმდინარეობის დროს, ეხებოდა შესაბამის სამინისტროებთან, დიასპორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების საკითხს და ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში სხვა ქვეყნების სამუშაო ჯგუფებთან ქსელური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობას. წევრები შეთანხმდნენ, რომ ქსელური პარტნიორობა ხელს შეუწყობს იდეების, ინფორმაციების გაცვლასა და არსებული პრობლემების გაზიარებას.

გარდა ამისა, წევრები შეთანხმდნენ, რომ ჯგუფის ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელია ფინანსური რესურსების მოძიება. საჭიროა მომზადდეს მეოთხე ჯგუფის საერთო საპროექტო განაცხადი, მაგრამ რადგანაც ჯგუფის წევრი ორგანიზაციები სხვადასხვა მიმართულებებით ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, მხოლოდ ერთ თემაზე აქცენტის გაკეთება არ იქნება მართებული. შესაძლებელია ჯგუფი დაიყოს თემატურ ქვეჯგუფებად და მომზადდეს რამდენიმე საპროექტო განაცხადი.

იმის დასადგენად, თუ რომელი თემატური მიმართულებებით შეიძლება წარმართოს ჯგუფის მუშაობა და საერთოდ რა რესურსები არსებობს ამ მხრივ, წევრებმა წარმოადგინეს თავიანთი ორგანიზაციები და გააკეთეს მცირე მონაზახი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის საქართველოს წარმომადგენლობა - ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი ევროპაში დაარსდა 1987 წელს. ორგანიზაციის წარმომადგენლობა არსებობს ევროპის 35 ქვეყანაში, მათ შორის 2008 წლიდან საქართველოში. ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის სტრუქტურა შედგება სენატისა და გამგეობისაგან. სენატი უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, რომელიც 30-მდე წევრს აერთიანებს და 1 წლის ვადით ირჩევს გამგეობას. ხოლო გამგეობა შედგება შვიდი წევრისგან და ევალება ორგანიზაციის განვითარებასა და ყოველდღიურ მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 16-დან 23 წლამდე ახალგაზრდები. ორგანიზაციაში ჩართულია 1000-ზე მეტი ახალგაზრდა, რომლებიც ითვლებიან არა წევრებად, არამედ ღონისძიებების მონაწილეებად. თუმცა, მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ორგანიზაციის მიერ ევროპაში ჩატარებულ ღონისძიებებში, საქართველოში გახდნენ არამართო დელეგატები, არამედ ოფიციალური პირებიც და ასევე, მიღებულ იქნენ სენატშიც, რისი რამდენიმე პრეცედენტიც მოხდა ცოტა ხნის წინ.

ღონისძიებების მონაწილეებისთვის სხვადასხვა თემატიკაზე ტარდება საპარლამენტო ფორუმები და სესიები, რაც ძირითადად წარმოადგენს ევროპის პარლამენტის

მოდელირებას. ოთხ წლიანი ძალისხმევის შედეგად, ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის გამგეობამ მოიპოვა 2013 წლის შემოდგომისათვის საერთაშორისო სესიის საქართველოში ჩატარების უფლება, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებაა, რადგან აქამდე ტარდებოდა ძირითადად ევროკავშირის წევრ განვითარებულ ქვეყნებში. მსგავსი სესიის არაწევრ და ამასთანავე პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში ჩატარების პირველი პრეცედენტი იყო 2010 წელს უკრაინაში და მეორე იქნება საქართველოში.

პედაგოგთა კავშირი “განათლება და სამყარო” დაარსდა 2002 წელს. ოფისი ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისში, თუმცა მოღვაწეობის არეალი არ შემოიფარგლება ქუთაისით. პედაგოგთა კავშირის მიზანია ხელი შეუწყოს განათლების სფეროში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, მსოფლიოს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს ინტეგრაციას, საზოგადოების სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებასა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნებიან პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, დევნილები, ქალთა ჯგუფები (დევნილთა კოლექტიური ჩასახლების თემის მობილიზაციისთვის) და სოციალურად დაუცველი, უნარშეზღუდული მოქალაქეები. საქმიანობის დასაწყისში პედაგოგთა კავშირი ძირითადად ორიენტირებული იყო მასწავლებელთა პროფესიულ გადამზადებაზე, თუმცა სამოქმედო არეალის გაფართოების შედეგად უფრო მეტი ყურადღება დაეთმო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევებს, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, ადგილობრივ თემში და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებულ დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში. დაარსებიდან დღემდე ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელდა 60-მდე პროექტი არამარტო ქართველ, არამედ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთადაც. ორგანიზაციის აქტივობები მოიცავს არა მარტო საქართველოს, არამედ მოლდოვას, უკრაინას, რუმინეთს, აზერბაიჯანს და პოლონეთს. პედაგოგთა კავშირის საგანმანათლებლო პროგრამებიდან აღსანიშნავია ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი, რომელიც ფუნქციონირებს 2006 წლიდან. ამას გარდა, მოქმედებს ძალზედ წარმატებული ახალგაზრდული მოძრაობის ფორუმ-თეატრი და ბავშვთა მუსიკალურ-შემოქმედებითი სტუდია ”მშვიდობის ჩიტები”, რომლებიც გამოდიან ასევე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რადგან ორგანიზაციას იქ აქვს ფილიალები და კონტაქტები.

კონფლიქტებზე საუბარი გააგრძელა **რეპატრიანტთა კავშირის** წარმომადგენელმა, რომელმაც შესთავაზა ჯგუფს ტერმინის ‘კონფლიქტი’ ‘ოკუპირებული ტერიტორიებით’ ჩანაცვლების ინიციატივით გამოსვლა. კონფლიქტის დეფინიციის გადატანა ოკუპაციის რეჟიმში ხელს შეუშლიდა პოლიტიკურ სპექტრში, ევროპაში და

ე.წ. მტრის ბანაკში ამით სპეკულირების გაგრძელებას. მნიშვნელოვანია რომ თავდაპირველად, თვითონ ქართულმა საზოგადოებამ უნდა გაიგოს ის, რომ საქართველო თავად არ არის კონფლიქტური ქვეყანა და რომ მას არცერთ კონფესიასთან არ აქვს არანაირი მენტალური წინააღმდეგობა. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით მონაწილეთა აზრი ორად გაიყო, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელიც წინააღმდეგია სიტყვა 'კონფლიქტის' გამოყენებისა.

რაც შეეხება ორგანიზაციის წარმომადგენელს, იგი ძირითადად მუშაობს საქართველოს საგარეო ურთიერთობების კუთხით და იკვლევს საქართველოს გეოპოლიტიკურ დანიშნულებას მსოფლიოში.

ჯანმრთელი სამყარო შეიქმნა 2004 წლის 1 აპრილს. ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი მიმართულებებია: ადამიანის, პაციენტების უფლებების დაცვა, გენდერი და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა. ჯანმრთელი სამყაროს ბოლო აქტივობებიდან აღსანიშნავია ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი, რომლის მთავარი ამოცანა იყო მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდა პაციენტთა უფლებების დაცვის მიზნით. ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილია ასევე ახალგაზრდული დეპარტამენტი, რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ამ მიზნით დეპარტამენტი ახალგაზრდებისათვის ატარებს სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სემინარებს.

ევროპის სახლი შედარებით ახალი ორგანიზაციაა. იგი მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით. ესენია: კულტურა, განათლება და საზოგადოებრივი დიალოგი. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ევროპული გამოცდილებისა და ღირებულებების წარმოჩენასა და გაზიარებას. ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა ხაზით, როგორცაა მაგალითად, ნდობის აღდგენა/გაღვივება ქართველებსა და აფხაზებს შორის, მათ შორის, რუსების მონაწილეობითაც. ბოლოს განხორციელებული აქტივობებიდან აღინიშნა ასევე პატარა, მაგრამ საკმაოდ წარმატებული პროექტი მოხალისეობასთან დაკავშირებით.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ევროპის სახლი ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, გამოფენებს, შეხვედრებს, მრგვალ მაგიდებს და საღამოებს. აღსანიშნავია ელიტარული ხასიათის კრეატიული საღამოების სერია სახელწოდებით '21-ე საუკუნის ევროპა თანამედროვე ცეკვების ფონზე'. იღებენ ასევე მონაწილეობას ტრადიციული რეწვის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ პროექტში. ამას გარდა, სხვა დამსწრემ აღნიშნა ევროპის სახლის მიერ უმცირესობების თემატიკაზე ზაფხულში ორგანიზებული ძალზედ საინტერესო შეხვედრა ფილმის ჩვენებით.

საქართველოს გაეროს ასოციაცია დაარსდა 1995 წელს. ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: დემოკრატიისა და მმართველობის განვითარება, საინფორმაციო სფერო, ლტოლვილები და მიგრაცია, ახალგაზრდობა და განათლება. ბოლო რამდენიმე წელია ასოციაცია მუშაობს საქართველოს სამ რეგიონში, აქედან ორი ეთნიკური უმცირესობებითაა დასახლებული, ხოლო მესამე არის გორის რეგიონი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს რეგიონალური საქმიანობის არეალის გაფართოება, რომელმაც უნდა მოიცვას იმერეთი და სამეგრელო. ორგანიზაცია მუშაობს "ნდობის მშენებლობის", ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების თემებზე. საერთო სტრატეგიის თანახმად ორგანიზაცია არ ხსნის წარმომადგენლობებსა და ოფისებს რეგიონებში, არამედ ცდილობს გააძლიეროს ადგილობრივი რესურსი და მოიძიოს პარტნიორები, რომლებიც შემდგომ საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთიან ქსელში გაწევრიანდებიან. მიმდინარე წლის მარტში გაფორმდა ხელშეკრულება იუსტიციის სამინისტროსთან და იგეგმება მცირე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის დაწყება, რომელიც ეხება არასრულწლოვნების კანონთან ურთიერთობის პრობლემატიკას. აღსანიშნავია კიდევ ერთი პროექტი, რომელშიც ჩართული არიან ახალგაზრდები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ტექნიკური დახმარების მხრივ, ორგანიზაციამ გამოთქვა მზადყოფნა ჯგუფის შეხვედრებისთვის 25 კაციანი დარბაზის უსასყიდლოდ შეთავაზების თაობაზე.

ერთ-ერთმა დამსწრემ ასევე აცნობა მონაწილეებს ბატონ ალექსანდრე რუსეცკის მხრიდან მსგავსი შემოთავაზების შესახებ.

ახალგაზრდული ალტერნატივა ფუნქციონირებს 2004 წლიდან. საქმიანობის ძირითადი მიმართულება მოიცავს როგორც ახალგაზრდების, ასევე ეთნიკური უმცირესობების და კონფლიქტების თემას. ახალგაზრდული ალტერნატივა ატარებს საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებს. ბოლო სამი წელია ორგანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებაა ახალგაზრდების/სტუდენტების სოციალური განათლება და დაცვა, მათთვის შრომის კოდექსით მინიჭებული უფლებების გაცნობა. პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან თანამშრომლობით და ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით ახალგაზრდულმა ალტერნატივამ განახორციელა პროექტი სტუდენტების სამედიცინო დაზღვევის შესახებ. შემუშავდა საკანონმდებლო ინიციატივა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, შეგროვდა 30 ათასი ხელმოწერა, თუმცა ამ ეტაპისთვის პროცესი შეჩერებულია.

ორგანიზაცია **ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის** სამი წლის წინ დაარსდა და მუშაობს ოთხივე ჯგუფის მიმართულებით. მისი ძირითადი საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო კვლევების მიმართულებით.

ბოლო ორი წლის მანძილზე გამოიცა ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელთაგან ერთი ეხება ევროპის ინოვაციური პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზს, ხოლო მეორე - აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვადასხვა მიმართულებების გაცნობას ხელისუფლების წამომადგენლებისათვის. ნაშრომების შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ძალიან იშვიათად ტარდება კვლევები განათლებისა და მეცნიერების დარგში.

ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების გაცნობის შემდეგ, წევრებმა ისაუბრეს მეოთხე ჯგუფის მუშაობის მიზნებსა და ამოცანებზე და ასევე, ჯგუფში არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზებზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია გაკეთდეს ჯგუფის წევრი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ მონაცემთა ბაზა. ამ ინფორმაციის შესწავლა/ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდება სინერგიული კავშირების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს ჯგუფის კოორდინირებულ თანამშრომლობას.

დამსწრეებმა ასევე განიხილეს პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრის და კოალიციის სახით კანონპროექტის მომზადების იდეა.

დაახლოებით ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.